03.04.2015

ინფლაცია საქართველოში, 2015 წლის მარტი

(2015 წლის თებერვალთან შედარებით)

2015 წლის მარტში წინა თვესთან შედარებით საქართველოში ინფლაციის დონემ 1,2 პროცენტი შეადგინა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	1.2
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	1.7
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-1.4
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	0.4
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	4.4
ჯანმრთელობის დაცვა	0.4
ტრანსპორტი	1.3
კავშირგაბმულობა	0.7
დასვენება, გართობა და კულტურა	1.4
განათლება	0.5
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.7
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	1.4
ინფლაციის დონე, სულ	**1.2**

ჯგუფების წვლილი* 2015 წლის მარტის ინფლაციაში (სულ 1,2%)



მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 1,2 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,37 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების ზრდა დაფიქსირდა ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (18,7 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (4,5 პროცენტი), ბოსტნეული და ბაღჩეული (3,5 პროცენტი) და თევზეული (2,4 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე (-4,7 პროცენტი);

ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა: ჯგუფში ფასები გაიზარდა 4,4 პროცენტით, რაც თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,28 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასების აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა ძირითად ელექტრონულ ან არაელექტრონულ საოჯახო მოწყობილობებზე ფასების 9,7-პროცენტიანმა მატებამ;

ტრანსპორტი: წინა თვესთან შედარებით ფასები გაიზარდა 1,3 პროცენტით, შესაბამისად ჯგუფის წვლილმა თვის ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,15 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასები გაიზარდა სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (4,6 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ინფლაცია საქართველოში, 2015 წლის მარტი

(2014 წლის მარტთან შედარებით)

2015 წლის მარტში 2014 წლის მარტთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 2,6 პროცენტი შეადგინა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	3.7
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	9.9
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-5.3
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	2.0
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	6.0
ჯანმრთელობის დაცვა	6.0
ტრანსპორტი	-6.6
კავშირგაბმულობა	0.3
დასვენება, გართობა და კულტურა	2.6
განათლება	2.9
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.0
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	3.7
ინფლაციის დონე, სულ	**2.6**

ჯგუფების წვლილი* 2015 წლის მარტის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 2.6%)



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: 12-თვიან პერიოდში ფასები გაიზარდა 3,7 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 1,15 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღსანიშნავია ფასების მატება ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (27,2 პროცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (6,8 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (4,8 პროცენტი), თევზეული (4,1 პროცენტი) და ხორცი და ხორცის პროდუქტები (3,7 პროცენტი);

ჯანმრთელობის დაცვა: მოცემულ პერიოდში ფასები გაიზარდა 6,0 პროცენტით, რამაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,63 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა. ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობების ქვეჯგუფზე (9,1 პროცენტი), ამბულატორიულ სამედიცინო მომსახურებასა (4,7 პროცენტი) და საავადმყოფოების მომსახურებაზე (4,6 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 9,9 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,50 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა როგორც ალკოჰოლურ სასმელებზე (9,7 პროცენტი), ასევე თამბაქოს ნაწარმზე (9,9 პროცენტი);

ტრანსპორტის ჯგუფში ფასები შემცირდა 6,6 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე -0,79 პროცენტული პუნქტით აისახა. აღსანიშნავია ფასების კლება პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (-11,1 პროცენტი).

---

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ყოველთვიური ინფლაცია



წლიური ინფლაციის დონე საქართველოში

(წინა წლის შესაბამის თვესთან, პროცენტული ცვლილება)



საშუალო ინფლაციის დონე საქართველოში

(12 თვის საშუალო წინა 12 თვის საშუალოსთან, პროცენტული ცვლილება)



საკონტაქტო პირი: ლევან ქარსაულიძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ.ფოსტა: lkarsaulidze@geostat.ge